სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის
2025 წლის 6 თვის ანგარიში
მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა - (30 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 05	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	**4 800.0**	**5 717.0**	**3 431**	**60%**	**342.5**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 704 ბენეფიციარს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურება, მათ შორის, სამინისტროს 334 მოსამსახურეს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 32 თანამშრომელს და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ 338 მოსამსახურეს;

- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით, განხორციელდა ბენეფიციართა (სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, მედიკამენტებით და სამედიცინო სახარჯი მასალით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამედიცინო შემოწმება, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტთან განხორციელდა 26 480 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 2 985 პაციენტს; ჩატარდა 1 857 ულტრაბგერითი დიაგნოსტირება; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 1 993 პროცედურა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 15 973 პროცედურა; რენტგენოლოგიის კაბინეტში 5 995 პროცედურა; ჩატარდა 43 381 სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზი; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 437 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 3 745 სამკურნალო პროცედურა; ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა ახლად მისაღებმა 2 718 პირმა და 76 სამოქალაქო პირმა.